

კაპიტრინე ყაზარაშვილი
(საქართველო)

წმინდა სტეფანე აღმსარებალი (პარბელაშვილი)
ქართული გალობის შესახებ
(ვასილ პარბელაშვილის პირად წერილებზე დაყრდნობით)

ვასილ კარბელაშვილი¹ – შემდგომში წმინდა აღმსარებელი სტეფანე² – XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის I ნახევრის გამორჩეული მოღვაწეა. იგი კარბელაშვილების ცნობილი ოჯახის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ვასილი თავის და-ძმებთან ერთად ქართული სულიერი თუ მატერიალური კულტურის ერთგულ დამცველად და აქტიურ მებრძოლად გვევლინება. მისი მოღვაწეობის სფეროები საერო და სასულიერო ცხოვრების არაერთ დარგს მოიცავს. პირად მიმონერებში თუ საგაზეთო პუბლიკაციებში ინტენსიურად და თამამად აფიქსირებდა საკუთარ აზრს ქართული გალობის პოლიფონიური ბუნების, გალობის შესრულების, სწავლება-გავრცელების, გალობის ნოტებზე გადატანისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. მოხსენებაში მის პირად არქივზე დაყრდნობით ვიმსჯელობთ ქართული გალობის პრობლემებზე XIX-XX საუკუნეში.

ვასილ კარბელაშვილის პირადი არქივი

ვ. კარბელაშვილის პირადი არქივი დაცულია ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავში (#38). პირადი არქივის გარკვეული ნაწილი (საგალობელთა სანოტო ხელნაწერები, პირადი წერილები, დოკუმენტები) ცნობილია საეკლესიო მუსიკოლოგთათვის. ჩვენ შევისწავლეთ ხ.ე.ც.³-ში არსებული ვ. კარბელაშვილის პირადი არქივი. მათ შორის, ყურადღება გავამახვილეთ სამუსიკო კულტურასთან დაკავშირებულ ხელნაწერ დოკუმენტებზე.

პირადი არქივი შეიცავს შემდეგი ტიპის ხელნაწერ დოკუმენტებს:

- სიმღერებისა და საგალობლების სანოტო ჩანაწერები;
- საგალობელთა ნევემირებული ტექსტები, რომელიც გადანერილია სხვადასხვა საუკუნის ნევემირებული ხელნაწერიდან (S-425, ფიტარეთის ძლისპირთა კრებული და ა.შ.);
- ქადაგებები (შავი და თეთრი ასლები);
- მოხსენებითი ბარათები;
- მასალა საგაზეთო პუბლიკაციებისთვის (ცისკარი, დროება, ივერია, საქართველო, სახალხო გაზეთი, ცნობის ფურცელი და ა.შ.);
- პირადი და საჯარო ხასიათის წერილები (პირადი მიმონერები ოჯახის

¹ ვასილ კარბელაშვილი დაიბადა 1858 წელს კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალაში, გაიზარდა 5 და-ძმასთან ერთად სასულიერო პირის – დეკანოზ გრიგოლ კარბელაშვილის ოჯახში. გარდაიცვალა 1936 წელს, დაკრძალულია თბილისში ნავთლულის, წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის გალავანში. 2011 წელს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა ხუთი ძმა კარბელაშვილი და მათ შორის ვასილი წმინდანთა ხარისხში აიყვანა. ვასილს სახელად ეწოდა წმინდა აღმსარებელი ეპისკოპოსი სტეფანე.

² დეკანოზი ვასილი 1925 წელს ბერად აღკვეცეს და სტეფანედ სახელდებული ბოდბელ ეპისკოპოსად აკურთხეს. 1928 წლიდან ალავერდელ მღვდელმთავრად დაადგინეს. (ანდლულაძე; 2006:40)

³ ხ.ე.ც. – ამგვარად აღინიშნება ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ვასილ კარბელაშვილის პირად არქივში დაცულია 600-ზე მეტი დოკუმენტი.

წევრებთან, სასულიერო პირებთან – ეგზარხოზებთან, ქართველ ეპისკოპოსებთან;

- მიმონერები საზოგადო მოღვაწეებთან – მწერლებთან, პოეტებთან, სასულიერო სემინარიის ლექტორებთან, მუსიკოსებთან, სტუდენტებთან, მოსწავლეებთან.

საეკლესიო მუსიკის მკვლევართათვის ცნობილია ძმები კარბელაშვილების ერთობლივი მუშაობის შედეგად ნოტებზე გადატანილი და გამოქვეყნებული სანოტო კრებულები. ესენია: „მწუხრი“ (1897)⁴ და „ცისკარი“ (1898)⁵ (ლიტურდია) წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესი⁶, ფ. კარბელაშვილის მიერ შედგენილი „საგალობელნი შობის დღესასწაულისანი“ (1899)⁷, ფილიმონ კარბელაშვილის მიერ გამოცემული „მწუხრი“ (1907). ძმები კარბელაშვილების მიერ დატოვებული საგალობელთა სანოტო ჩანაწერები⁸, ამ დროისათვის, რედაქტირებული სახით გამოქვეყნებულია სხვადასხვა სამგალობლო კრებულში⁹.

კარბელაშვილების ოჯახში სიმღერა-გალობის უწყვეტი ტრადიცია მეფე ერეკლე II-ის მეფობის პერიოდიდან მოდის, სადაც ვასილის პაპა პეტრე კარბელა ქართლიდან კახეთში გალობის მასწავლებლად იყო მინვული. ამდენად, ის, რასაც ძმები კარბელაშვილები ასახავდნენ საკუთარ სანოტო კრებულებსა თუ ხელნაწერებში, მიჩნეულია ქართლ-კახური საეკლესიო გალობის კრებით შემოქმედებით ნიმუშებად.

⁴ **ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“.** ნაწ. 1, *მწუხრი* / ნოტებზედ გადაღებული და საკუთრებით დაბეჭდილი მღ. ვასილ გრიგ. ძის კარბელოვის-მიერ. თბილისი, 1897 (მ. შარაძის და ამხანაგობის სტ.).

⁵ **ქართლ-კახური გალობა. ნაწილი 2, ცისკარი** [ნოტი] = Карталино-Кახетинское Церковно-Грузинское пение. Часть 2, Утренняя: კარბელაანთ კილოთი / ნოტებზედ გადაღებული და საკუთრებით დაბეჭდილი მღ. ვასილ გრიგოლის ძის კარბელოვის მიერ. Тифлис, 1898 (Типография „Цнобис Пурцели“)

⁶ **ქართული გალობა (ქართლ-კახური კილოთი); (ლიტურდია) წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესი** / მიხეილ მიხეილის ძის იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტებზედ გადაღებული და დაწერილი მღ. მღ. ძმათა პოლ. და ვას. კარბელაშვილთა, აღ. მოლოდინაშვილის და გრ. მღებრიშვილის დახმარებითა; წინასიტყვაობა და დედანზედ გამართვა-შესწორებით მღ. ვასილ გრიგოლის ძის კარბელაშვილისათა გამოცემულია ალექსანდრე ეპისკოპოსის აწ გურია-სამეგრელოს მწყემსთ-მთავრის წარსაგებლითა. თბილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1899.

⁷ **კარბელაშვილი ფილიმონ (1899). „საგალობელნი შობის დღესასწაულისანი“.** გადმოცემულია მღ. პ. კარბელოვის და ა. მღ. მოლოდინოვის მიერ. რვეული ა. თფილისი. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

⁸ ხელნაწერები დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს ეროვნული არქივისა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში.

⁹ **ქართული საეკლესიო გალობა. აღმოსავლეთის სკოლა, ტომი III**, მეორე გამოცემა. მწუხრი – ცისკარი – წირვა. გადმოცემული ძმები კარბელაშვილებისა და ანდრია ბენაშვილის მიერ. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი თბილისი 2008.

ქართული საეკლესიო გალობა. აღმოსავლეთის სკოლა, ტომი VII. თორმეტ საუფლო და უძრავ დღესასწაულთა, დიდი მარხვისა და ზატყის საგალობლები. გადმოცემული ძმები კარბელაშვილების მიერ. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი. თბილისი 2014.

ქართული გალობა/ სვეტიცხოვლის სკოლა. სადა კილო. გადმოცემული ვასილ და პოლიექტოს კარბელაშვილების მიერ. მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვისა და გრიგოლ ჩხიკვაძის ხელნაწერების მიხედვით. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი. თბილისი 2012

ქართული გალობა. ანთოლოგია. ტომი II, ტომი III. აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია – იოანე ოქროპირის ლიტურგიის საგალობლები (I და II ნაწილი). თბილისი 2018.

ქართული გალობა. ანთოლოგია. ტომი IV. აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია – იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, პირველშენიერულის (პაპ გრიგოლ დიდის, „დიოლოფოსის“) ლიტურგიების, ჭვრისწერისა და ხელდასხმის განგებათა საგალობლები (III ნაწილი). თბილისი 2018.

ქართული გალობა. ანთოლოგია. ტომი X, ტომი XI. აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია – ღამისთვის ლოცვის საგალობლები (I და II ნაწილი). თბილისი 2019.

წერილებში ყველაზე ხშირად გვხვდება შემდეგი დეფინიცია – „ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“. როდესაც ვ. კარბელაშვილი ძველ მგალობლებს იხსენებს, მათ რიგში ასახელებს მის პაპას და მამას – პეტრე¹ და გრიგოლ¹ კარბელას, რომელთა ტრადიციის გამგრძელებელი თავად გახლდათ. „ძველი გალობის მიმდევართ ვხედავთ დიდ გერონტის და მის შვირდს გერონტი ჭილაშვილს, პეტრე კარბელას, გრიგოლ კარბელას, მეორე რიგის მგალობელთ – სოფრონ არქიმანდრიტს, ბიძინა არხიმანდრიტს, შემდეგ არხიმანდრიტ ტარასის და სხვათა. დღეს ის ძველი გალობის კილო დაცულია ქართლ-კახურს გალობაში „კარბელაანთ კილოში“, რასაც დრო და უამი და მომავალი თაობაც დაამტკიცებს! (#104. გვ. 2).

ქართული გალობის ბუნებისა თუ შესრულების შესახებ მსჯელობისას ვეყრდნობით ძველ ლიტურგიკულ კრებულებში დაცულ ცნობებსა თუ ქართველი ჰიმნოგრაფებისა და დიდი მგალობლების გამონათქვამებს. მათ მიერ დატოვებული წერილობითი და აუდიო ჩანაწერები საეკლესიო გალობის მკვლევრებსა და შემსრულებლებს დიდ დახმარებას გვიწევს. ვასილ კარბელაშვილის არქივში დაცულია არაერთი დოკუმენტი, რომელიც სწორედ მსგავსი ცნობების შემცველია. პირად არქივში არსებული ხელნაწერები შეიცავს არაერთ სამუსიკო ტერმინს. ქართულ მუსიკათმცოდნეობაში სამუსიკო ტერმინების საკითხი ერთ-ერთი საკამათო და მრავალმნიშვნელოვანია. ამდენად, ძველი მგალობლის მიერ ამა თუ იმ ტერმინის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება, აზუსტებს და ხსნის ტერმინის შინაარსს მისი ვიწრო და ფართო გაგებით.

ვ. კარბელაშვილის პირად არქივში ხშირად გვხვდება ფრაზა „ქართული გალობის კანონი“, რომლის ქვეშაც არაერთი შინაარსი მოიაზრება. ქართული გალობის კანონი გულისხმობს საგალობელში კილოს სიზუსტის დაცვას, სიტყვისა და ჰანგის სინქრონულ წარმოთქმას, ვერბალური ტექსტის სწორ არტიკულაციას და არა უცხო ენის (ამ შემთხვევაში რუსულის) მიბაძვით წარმოქმნილი აქცენტების ქართულ გალობაში გადმოტანას, რაც ხშირად, გუნდის წევრების ენობრივი განსხვავებულობის გამო, სირთულეს წარმოადგენდა. პირად არქივში ქართული გალობის შესრულებასთან დაკავშირებული მოსაზრებების შეჯერებით, შეიძლება ასევე ითქვას, თუ რა არ ახასიათებს ქართულ გალობას. ეს არის: „უადგილო ადგილას დასვენება, ჰაზრის შეწყვეტა-დანყება, ხმის ტრიალის მარცვლებიდან მარცვლებზე გადატან-გადმოტანა, ყელისმიერი ბგერები, საგალობლის მაღალ ტონში დანყება, ხმაზე ძალდატანება, ერთი მეორეს გადასწრება ან ხმით ერთის მეორეზე გადაჭარბება. ყოველი ღრიალი გალობაში ან აჩქარება, გალობა-მეტყველებაში დიდად გასაკიცხი იყო და სირცხვილი, სიცილი, ჩურჩული-ლაპარაკი აქეთ-იქით, საშინლად იყო აღკრძალული“ (ვ. კარბელაშვილის მოგონებები, #260. გვ. 3. 1935 წ. მაისს, დღეს 12).

ვასილი ხშირად აქვეყნებდა კრიტიკულ პუბლიკაციებს მგალობელთა გუნდების შესრულების ხარისხთან ან საგალობლების ნოტებზე გადატანასთან დაკავშირებით. იგი ერთნაირი პრინციპულობითა და გაბედულებით გამოირჩეოდა როგორც მაღალი იერაქების, ისე საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების თუ სახელების მიმართ. მოვიყვანთ ერთ-ერთ ციტატას ვასილის წერილიდან (#362) რომელიც მან

¹ 1754 წელს დაბადებული პეტრე გრიგოლის ძე კარბელა (ხმალაძე), გალობის ხელოვნებას სიყრმეშივე დაუფლებია. იგი მსახურობდა მეფე ერეკლე II-ის კარზე. შემდგომ პეტრე ხმალაძე, იგივე პეტრე კარბელა, სამთავისში მოღვაწეობდა ლოტბარად. პეტრე კარბელას ვაჟიშვილი, გრიგოლი, მამამისის გამომზრდილი იყო გალობაში (შულღიაშვილი; 2012:VI).

¹ დეკანოზი გრიგოლ კარბელაშვილი დაიბადა 1812 წელს შიდა ქართლის სოფელ ქვემო ჭალაში, გარდაიცვალა ამავე სოფელში 1880 წელს).

14 ოქტომბერს სათავადაზნაურო გიმნაზიის ქალთა და ვაჟთა გუნდის მოსმენის შემდეგ გაუგზავნა გიმნაზიის გალობის მასწავლებელს, ბ-ნ ზ. ფალიაშვილს. „თუ ავჯით მოჩქარებისათვის ანელეთ, მაშინ გადააკეთეთ იმ ავჯის კილოზედ, თუკი მოგეძებნებათ საგანძურში, ხოლო თანახმად ქართულის გალობისა ან მთავარი კილოსი და ნუ სჩიჯნით. ნუ აქუცმაცებთ და ნუ ანადგურებთ. დრო არის მოისპოს მთავარ ხმათა გათახსირება და საკუთარის გალობის მოთხზვა გარეშე ქართულის გალობის კანონისა“ (ვ. კარბელაშვილის არქივი; #362). ზოგ შემთხვევაში ქართული გალობის კანონის რღვევა გამოიხატებოდა მისი შესრულების სტილისტიკის გადასხვაფერებაში. კერძოდ, მას მოჰყავს მაგალითად ქაშვეთის ტაძარში მდგარი გუნდის შესრულებიდან, სადაც საგალობელი „რომელი ქერუბიმთა“ გუნდმა დაიწყო ჯერ სამი ხმით, ხოლო შემდეგ მუხლებში დაემატა მეოთხე ხმა. აგრეთვე, შესრულების პროცესში მგალობელთა რაოდენობა 50-მდე გაიზარდა. „ეს რის მომასწავლებელია? იმის მომასწავლებელია, რომ შესავალში უნდა მიიპყროს მსმენელის ყური და ჩააწვეთოს, რომ ეს ქართული გალობა არისო, შემდეგ კი იწყება, იწყება ოთხ ხმიანი გალობა!!! ღმერთმან შეინახოს მაგნირი გალობა! არაფრის კანონი ქართული გალობისა, მაგაში არ მოსჩანს, სტილისტიკა ქართული გალობისა სულ მოწყვეტილია და გადამახინჯებული (ვ. კარბელაშვილის არქივი. #142).

ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის ურთიერთმიმართება

დღეისათვის ცნობილია, რომ არაერთი ხალხური სიმღერის კილო-ჰარმონია თუ მელოდიური ნახაზი, მათ შორის, წარმართული პერიოდისა, უდევს საფუძვლად საეკლესიო გალობას. ეს საკითხები არაერთი მკვლევრის ინტერესის საგანი გამხდარა და კვლევები ამ მიმართულებით დღესაც აქტიურად გრძელდება. კარბელაშვილების ოჯახში იყვნენ საეკლესიო გალობის უბადლო მცოდნენი, ამასთანავე, ისინი კარგად ერკვეოდნენ ხალხური სიმღერის საშემსრულებლო სპეციფიკაში. ამდენად, ძმები კარბელაშვილების მიერ გამოქვეყნებულ საეკლესიო გალობისადმი მიძღვნილ არაერთ პუბლიკაციაში ჩანს, თუ რა საერთო და განმასხვავებელი თვისებები გააჩნდა ტრადიციული მუსიკის ამ ორ შტოს.

ვასილ კარბელაშვილი სხვადასხვა ტიპის დოკუმენტში არაერთხელ აღნიშნავს ქართლ-კახური სიმღერისა და საეკლესიო გალობის საერთო კილოურ ძირებზე. „საუკეთესო მუხლები სიმღერისა – ძველის ძველისა საუკეთესო საგალობლებს დღესაც, დღემდე უწყვიან საფუძვლად, როგორც არის „შენ გიგალობთ“, „ღირს არს და მართალ“, „რომელი ქერუბიმთა“ და სხვ. რომელთა მოსმენით, არამცთუ ქართველი კაცი, არამედ სულ უცხო კაციც კი რაღაცა სრულ დაკმაყოფილებას და აღფრთოვანებასა გრძნობს“ (#80). მიუხედავად ტრადიციული სიმღერა-გალობის ასეთი ურთიერთსიახლოვისა, 1919 წელს დ. არაყიშვილისადმი მიწერილ წერილში ვასილი სიმღერასა და გალობას მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისაგან. „ქართული გალობა – სიმღერა არ არის და სიმღერა – გალობა არ არის. საუკუნეობით ასე მოდის“ (#119. 1919წ 17 მაისი. სასულიერო კონცერტი „ლიტურდია“ დ. არაყიშვილისა). აქვე დავიმოწმებთ პ. კარბელაშვილის მიერ XIX საუკუნის დასასრულს გამოქვეყნებულ ისტორიულ მიმოხილვას „ქართული საერო და სასულიერო კილოები“, სადაც მესამე და მეექვსე პარაგრაფი დათმობილი აქვს საკითხს – ძველი ქართული საერო და სასულიერო კილოები. პ. კარბელაშვილი საქართველოში პირველ საუკუნეებშივე ქრისტიანობის უსისხლოდ მიღებას უკავშირებს სწორედ ძველი წარმართული სასიმღერო კილო-მოდებების ახალ ქრისტიანულ საგალობელში ადაპტაციას. კერძოდ, „რაკი დედა-აზრი ესრეთის ლოცვა-ვედრებისა არ ეწინააღმდეგებოდა

საქრისტიანო მოძღვრებასა, სამღვდლოება ეგრეთვე მოექცა კერპობის დროინდელ სასიმღერო და საგალობელ კილოებს: აილო და მაგ კილოებს ამოუყენა საქრისტიანო საგალობელთა სიტყვები (ტექსტი) და ძველი კილო ხელუხლებელი დარჩა. მეტი რა უნდოდა ქართველ ერსა ამ მხრივ? მაღლობ ადგილებზე სალოცავები არ მოეშალა ქრისტიანობის მიღებით, წირვა-ლოცვაზედ ისევ მამა-პაპური კილოები ესმოდა“ (პ. კარბელაშვილი 1898:11). საუკუნეების მანძილზე ისე ჩამოინაკვთა ქართული გალობის მუსიკალური ენა, წყობა და ხასიათი, რომ მიუხედავად მათი პირვანდელი საერთო ძირებისა, ქართული ტრადიციული სიმღერა და გალობა სრულიად სხვადასხვა გზით განვითარდა, რასაც მოწმობს ზემოთ მოცემული სიტყვები და საეკლესიო გალობის პროფესიული განვითარების გზა.

კარბელაშვილების ოჯახის წევრები, მამა – გრიგოლი, ძმები – ფილიმონი¹, ვასილი და პოლიევქტოსი¹ მთელი ცხოვრების მანძილზე გალობის პედაგოგებად გვევლინებიან აღმოსავლეთ საქართველოს არაერთ სოფელსა თუ ქალაქში. საეკლესიო გალობას ასწავლიდნენ სამრევლო სკოლებში, სასულიერო სემინარიასა თუ გიმნაზიაში. სწავლების მეთოდი ეფუძნებოდა ზეპირ გალობას, რომელსაც ისინი უწოდებენ სწავლების ე.წ. „ძველ დახავსებულ მეთოდს“, ან „ნამდვილ მეთოდს“, რასაც უპირისპირებდნენ სწავლების ე.წ. „რაციონალურ მეთოდს“. ძველი მეთოდის უპირატესობებზე საუბრისას ვასილი აღნიშნავს: „იმ ძველმა ზეპირობამ გალობა-სიმღერისამ შეუნარჩუნა ქართველთა განსაკუთრებული ხასიათი. იმ ზეპირ გადაცემაში მოსწავლენი ეჩვევიან იმ ხმათა დამახასიათებელ თვისებათა, რომელნიც ევროპულად აღზრდილ ყურისათვის შეუწყნარებელია და ბარბაროსობა“ (#131). ვასილი აღწერს, თუ ძველი მეთოდის მიხედვით როგორ ამეცადინებდა მამა გალობაში: „მეთოდი სწავლებისა საქართველოში არ შეწყვეტილა 1889 წლამდე, რომლის შემდეგ დაიწყეს ევროპული ნოტები. მოსწავლე იტყოდა ერთხელ, ორჯელ, სამჯერ საგალობელს თავიდან ბოლომდე ან ნაწილს. მერე მსმენელთაგანი განუძღვრებოდნენ და თან საგალობელის ტექსტში აღნიშნავდნენ დასვენების, ამალლების და დადაბლების აღსანიშნავად ან მოკლე ხაზებით, მძიმეებით ტექსტის ზემოთ და ქვემოთ. აი ამგარი მოქმედებით, შესწავლით იმ ნიშნებს გადასცემდნენ ერთი ერთმანეთს. ამ გვარათ გვასწავლა მამამ და რაკი ყური შევაჩვიეთ, მივჩერებოდით მას და დახსომებით ვითვისებდით. ის რომ ორჯელ რომ იმას ეთქვა მესამეთ ჩვენ გავიმეორებდით ხოლმე და აღარაფელ სიძნელეს არ წარმოადგენდა ჩვენთვის გალობის შესწავლა, თუ გადაცემა წირვაზედ“ (#260).

ვასილი იხსენებს 1874 წელს მამის გადმოცემულ ამბებს გალობის სწავლების თაობაზე: „ან სწავლების დროს ან შემდეგ როგორ წამოეკიდებოდა პატარა გრიგოლი ზურგზე და რიგრიგობით მოატარებდა ხოლმე თანამედროვე ლავრა მონასტრებს სადაც გალობა და კითხვა ეკლესიიდან სდულდა და გადმოდიოდა: ისმენდა იგი, რაც აკლდა ივსებდა კითხვა-გალობაში თუ მღვდელთათვის საქრო ცოდნა-მეცნიერებაში. იმ წესით, იმ რიგად როგორცა თავიდან ჰქონდათ მიღებული მის თანამედროვე სრულ მგალობელთ მოსწავლეთა და მოტრფიალეთა გალობა მეტყველებისა. სრული მგალობელი თვით წავიძოდა თავის ნაშაგირდლებთან ერთ კვირითა, ორი კვირით დარჩებოდა მასთან, ნასწავლს გაამეორებინებდა. თუ ჩაცვინული რამ ჰქონდა, დაავალებდა აღარ შეეცვალა და როგორც ანდერძებს ისე

¹ მღვდელი ფილიმონ კარბელაშვილი დაიბადა 1831 წელს სოფელ ქვ. ქალაში, გარდაიცვალა აქვე 1879 წელს.

¹ დეკანოზი პოლიევქტოს კარბელაშვილი დაიბადა 1855 წელს სოფელ ქვემო ქალაში, გარდაიცვალა 1936 წელს გურჯაანში.

ავალედა გალობა-კითხვის დაცვა-გარდაცემას მოსწავლეთათვის და ყურისგდებას. მგალობელი მგალობელთან, მოსწავლე მოსწავლესთან იოლად მიდიოდნენ დროთა და ჟამთა გასიღამავლობაში. თუ ახალი რამ ჰქონდა ნასწავლი იმასაც შეისწავლიდა, რომ სხვისათვისაც გადაეცა. რაღას უნდა დაეშალა ან ვიღას, რომ ასე ესწავლათ და ნაანდერძევი მამაპაპისეული ჩვეულება არ შეენახათ?! (#260. ვ. კარბელაშვილის მოგონებები, გვ. 3. 1935 წ. მაისს, დღეს 12). დღეს, როცა ამ წერილებს ვკითხულობთ, გვიჭირს დაჯერება იმ ფენომენალური მეხსიერების და უნარების, რაც წინა საუკუნის მგალობლებს გააჩნდათ. ჩვენ, როგორც მკვლევრებმა, ისე პრაქტიკოსმა მგალობლებმა, მიზნად უნდა დავისახოთ უფრო მეტი მელოდია-მოდელის დამახსოვრება, რაც განავითარებს ჩვენს მეხსიერებას და მუსიკალურ ინტუიციას. საუკუნეების გამოცდილება აჩვენებს, რომ ამის შესაძლებლობა ადამიანის შემოქმედებითი უნარების ფარგლებშია.

ვ. კარბელაშვილის პირად არქივში არსებული მასალები ნათელ სურათს გვიქმნის საქართველოში XIX-XX საუკუნის მიჯნაზე არსებული ისტორიული რეალობის შესახებ. როგორც სანოტო, ისე სხვა ტიპის ხელნაწერებში არაერთი საკითხი იწვევს მკვლევრის ინტერესს, თუმცა მოხსენებაში რამდენიმე საკითხის გაშუქებით შემოვიფარგლეთ და შევაჯერეთ სხვადასხვა პერიოდის წერილებში ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებები და ფაქტები. ხელნაწერების გაცნობა ამდიდრებს ჩვენს ცოდნას საეკლესიო გალობის ისტორიისა და თეორიის საკითხების შესახებ. კარბელაშვილების ოჯახის წარმომადგენელთა ცხოვრება და მოღვაწეობა ნებისმიერი მგალობლისა თუ ახალგაზრდა მეცნიერისთვის მოტივაციის მომცემი და სამაგალითოა, რასაც პირად არქივში არსებული წერილების შინაარსი კიდევ ერთხელ ადასტურებს.

როგორც თავად ვასილ კარბელაშვილი, ჩვენც მისივე ერთ-ერთი წერილის მიხედვით დავასრულებთ მოხსენებას: „დავშთები მარადის ერთგული ქართული კახურის გალობის მოქირნახულე მღ. ვას. კარბელაშვილი“ (#362. ბ. ზაქარია ფალიაშვილს).

გამოყენებული ლიტერატურა

- ანდლულაძე, ს. (2008). საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლნი – ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა.
- კარბელაშვილი, პ. (1898). *ქართული საერო და სასულიერო კილოები. ისტორიული მიმოხილვა*. ტფილისი: სტამბა ექ. ივ. ხელაძისა.
- ტოგონიძე, ლ. (2012). *ძმები კარბელაშვილები*. თბილისი.
- ქართული გალობა. (2012). სვეტიცხოვლის სკოლა. სადა კილო. გადმოცემული ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილების მიერ. მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვისა და გრიგოლ ჩხიკვაძის ხელნაწერების მიხედვით. თბილისი: საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.
- ბ. ე. ც. ვასილ კარბელაშვილის პირადი არქივი #38.